

შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპი-HMG“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისათვის

ზოგადი მონაცემები საზოგადოების შესახებ

შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპი -HMG“ შემდგომში კომპანია დაარსდა 2010 წლის 7 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად. მარეგისტრირებული ორგანო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სამართლებრივი ფორმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 426109187, იურიდიული მისამართია საქართველო, ბორჯომის რაიონში, დაბა ბაკურიანი (დიდველი).

2019 წლის აპრილიდან 2023 წლის დეკემბრის ჩთვლით კომპანიის დამფუძნებელია 100% წილით ვლადიმერ სტეფანიანი 11001005174.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით.

კომპანიაში 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 218 კაცს, ხოლო დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობაა 178კაცი.

საზოგადოების საადრიცხო პოლიტიკა

ფინანსური უწყისები მომზადებულია საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ანგარიშგება შედგენილია ქართულ ლარში. კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად.

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფიქსირდება ოპერაციის მოხდენის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლის ოფიციალური კურსით ლარში. სავალუტო ოპერაციების მიხედვით წარმოქმნილი სხვაობები აისახება საკურსო სხვაობის სახით შედეგზე.

დებიტორული დავალიანება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები) აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

შეძენილი მასალების ღირებულება აისახება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით, სასაქონლო მატერიალური ფასეულობის თვითღირებულება განისაზღვრება იდენტიფიცირების მეთოდით

ძირითადი საშუალებები

ნაყიდი ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის, მონტაჟის, ტრანსპორტირებისა და სხვა პირდაპირ ხარჯს.

შემოსავლები და ხარჯები


საზოგადოება მუშაობს დარიცხვის მეთოდით, სადაც შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად რომელ პერიოდშიც იქნა მომსახურება გაწეული მიუხედავად მის სანაცვლოდ ფულადი სახსრების ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა.

შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მათი წყაროების მიხედვით. ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით. წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება დივიდენტების გასაცემად და სხვა მიზნით.

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდა მოუწევს საზოგადოებას.

საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა, გასული და სამეურნეო წლის მოგებისაგან.



ახსნა განმარტებები ბალანსზე

1. ფულადი სახსრები

სალარო

საწარმოში შემოსული და გასული ნაღდი ფული აღირიცხება საბუღალტრო პროგრამაში, შესაბამისად სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერების მიხედვით. სალაროს ნაშთმა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 63231 ლარი.

ბანკი

საბანკო ანგარიშებზე რიცხული ფულადი სახსრების ამსახველი ანგარიშები წარმოებულია სწორად საბანკო ამონაწერებისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ანგარიშები გახსნილია ს.ს თიბისი ბანკსა, ს.ს საქართველოს ბანკში და ს.ს. პროგრედიტ ბანკში როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში. საერთო ფულადი თანხა საბანკო ანგარიშებზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 949783 ლარს

2. სავაჭრო მოთხოვნები

მოთხოვნებმა მიწოდებიდან და მომსახურებიდან შეადგინა 886615 ლარი.

სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები 2023 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 406861 ლარი.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობის ღირებულება ჯამში შეადგენს 1365015 ლარი, აქედან მზა პროდუქციის ღირებულებაა 305585 ლარი.

ძირითადი საშუალებების ჯამური ღირებულება შეადგენს 14357052 ლარს.


ვალდებულებები

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილმა ვალდებულებებმა 2023 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 1180987 ლარი, გადასახდელმა ხელფასმა 357245 ლარი, ხოლო მიღებულმა ავანსებმა შეადგინა 192079 ლარი.

კომპანიას აღებული აქვს სესხი, მიმდინარე სასესხო ვალდებულებებმა შეადგინა 2775355 ლარი, ხოლო გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 5168051 ლარი.


კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალია 1203784 ლარი, კომპანიის გაუნაწილებელი მოგებაა 7202438 ლარი.



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1013014	323400	269635
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	886615	796549	122967
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	406861	538355	0
მარაგები	1365015	739422	650135
მზა პროდუქცია	305585	113245	0
სხვა	1059430	626177	650135
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	51382	47144	0
ძირითადი საშუალებები	13368170	9876913	5849557
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	988882	164131	0
სულ აქტივები	18079939	12485914	6892294
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	1180987	1461029	1280452
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	357245	102071	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	192079	223659	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	2775355	1500000	3171439
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	5168051	5281599	1550122
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	9673717	8568358	6002013
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'კაპიტალი')	1203784	1153062	1153062
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	7202438	2764494	-262781
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	8406222	3917556	890281
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18079939	12485914	6892294
სულ მოკლევადიანი აქტივები	3671505	2397726	1042737
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4505666	3286759	4451891




ახსნა განმარტებები მოგება-ზარალზე

2023 წელში საქონლის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3611125 ლარი, მომსახურების გაწევიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 10833375 ლარი.

2023 წლის განმავლობაში გაყიდვების თვითღირებულებამ შეადგინა 3326492 ლარი, დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება 3812836 ლარი, ცვეთა და ამორტიზაცია 1132200 ლარი, საპროცენტო ხარჯი 37557 ლარი, იჯარის ხარჯი 897168 ლარი, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 763434 ლარი.

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	14444500	10665704
საქონლის გაყიდვიდან	3611125	2662313
მომსახურების გაწევიდან	10833375	8003391
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-3326492	-2597738
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	11118008	8067966
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-3812836	-2819541
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-1132200	-821000
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-37557	-70088
იჯარის ხარჯი	-897168	-781021
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-763434	-550842
სულ საოპერაციო ხარჯები	-6643195	-5042492
საოპერაციო მოგება	4474813	3025474
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	13853	1801
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	4488666	3027275
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	4488666	3027275
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	4488666	3027275
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3917556	890281
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	8406222	3917556



ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	4891332	3514035
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-4623457	-5104758
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	421739	1644488
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	689614	53765
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	323400	269635
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1013014	323400

